

Arabesque

BALLET MAGAZINE

არაბესკი შურნალი გალუბვა

№2(22)'13







ქართული ბალეტის მეგობართა
საზოგადოების წევრები
LIST OF THE MEMBERS OF FRIENDS
OF THE GEORGIAN BALLET

სეზონი 2013/2014 SEASON

მერილ და ჯანეტ ბლექმენი	მძრო GOLD COUPLE	MERRILL AND JEANNETTE BLACKMAN
ბრიჯიტ ბრინკი და ნიკ ჰიგინსი	მძრო GOLD COUPLE	BRIDGET BRINK AND NICHOLAS HIGGINS
გიორგი ჭირაკაძე და სარა ვილიამსონი	მძრო GOLD COUPLE	GEORGE CHIRAKADZE AND SARAH WILLIAMSON
ნელ და მიშელ დანი	მძრო GOLD COUPLE	NEIL AND MICHELE DUNN
ანდრეას ჰეიდინგსფელდერი	მძრო GOLD COUPLE	ANDREAS HEIDINGSFELDER
ჰანს და სონია ჰორბახი	მძრო GOLD COUPLE	HANS AND SONJA HORBACH
ტოშიო და ჰარუე კაიტანი	მძრო GOLD COUPLE	TOSHIO AND HARUE KAITANI
მასაიოში და ჯუნკო კამოჰარა	მძრო GOLD COUPLE	MASAYOSHI AND JUNKO KAMOHARA
რიჩარდ ნორლანდი და მერი ჰარტნეტი	მძრო GOLD COUPLE	RICHARD NORLAND AND MARY HARTNETT
ნიკ და კარო ვილკესი	მძრო GOLD COUPLE	NICK AND CARO WILKES
ფილიპ ლიმეტ დევეზი	მძრო GOLD INDIVIDUAL	PHILIPPE LIMET DEWEZ
ანა დიკ	მძრო GOLD INDIVIDUAL	ANNA DIK
კაროლინა ფორესტიერი	მძრო GOLD INDIVIDUAL	CAROLINE FORESTIER
მაკა გოტირიძე	მძრო GOLD INDIVIDUAL	MAKA GOTSIRIDZE
ივან იესტრბი, ჩეხეთის ელჩი	მძრო GOLD INDIVIDUAL	IVAN JESTRÁB, Czech Ambassador
ვილიამ ლაჰუე	მძრო GOLD INDIVIDUAL	WILLIAM LAHUE
დავით ლაურენს ლი	მძრო GOLD INDIVIDUAL	DAVID LAWRENCE LEE
მარტა ლუბეკი	მძრო GOLD INDIVIDUAL	MARTA LUBECK
არიანა ბრიგანტი და ჯოაჰიმ გაუბე	მძრო SILVER COUPLE	ARIANNA BRIGANTI AND JOACHIM GAUBE
ორტვინ ჰენიგი და მაია ფრანკ-ჰენიგი	მძრო SILVER COUPLE	ORTWIN HENNIG AND MAYA FRANK-HENNIG
ტობიას თიბერგი და ფლორიან ფუკნერი	მძრო SILVER COUPLE	TOBIAS THYBERG AND FLORIAN FÜCKNER
ალენ და ტომ ტუნი, დსი	მძრო SILVER COUPLE	ALENE AND TOM TUNNY, DSI
პრიტი და პირჯო ტურკი	მძრო SILVER COUPLE	PRITT AND PIRJO TURK
ემი ანტონიადეს-აუსტერმილერი	მძრო SILVER INDIVIDUAL	AMY ANTONIADES-AUSTERMILLER
კარლოს ასფორა	მძრო SILVER INDIVIDUAL	CARLOS A. ASFORA
პლამენ ბონჩევი	მძრო SILVER INDIVIDUAL	PLAMEN BONCHEV
მიშელ დეროჰანესიანი	მძრო SILVER INDIVIDUAL	MICHELLE DEROHANESIAN
ელენა დიმიტროვა	მძრო SILVER INDIVIDUAL	ELENA DIMITROVA
ნანა დვალი	მძრო SILVER INDIVIDUAL	NANA DVALI
ლენა კილადე	მძრო SILVER INDIVIDUAL	LENA KILADZE
პიერე ორლოფი	მძრო SILVER INDIVIDUAL	PIERRE ORLOFF
ლოლა პეტროვა	მძრო SILVER INDIVIDUAL	LOLA PETROVA
ანთონი რაჩევი	მძრო SILVER INDIVIDUAL	ANTHONY RACHEV
მაია შარაშიძე	მძრო SILVER INDIVIDUAL	MAIA SHARASHIDZE
ნინა ტარასაშვილი	მძრო SILVER INDIVIDUAL	NINA TARASSASHVILI
ჰიროკი ტოკუნაგა	მძრო SILVER INDIVIDUAL	HIROKI TOKUNAGA
იოჰანეს ვერნერი	მძრო SILVER INDIVIDUAL	JOHANNES WERNER

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების წევრები

გთხოვთ განვერიანდეთ ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებაში, რათა დაეხმაროთ ქართულ საბალეტო დასს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ მსოფლიოში ცნობილი ბალერინა ნინო ანანიასვილი.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების დამფუძნებლები არიან: **სილვა აკოპიანი, ლია მაჭავარიანი, ელისაბედ საღარაძე, ირინა ხომერიკი და ლილი ჰაუფი.** საპატიო დამფუძნებლები არიან: **მეიდა მაკლარენი და ინა გუდავაძე.**

მმართველობითი საბჭოს თანათამგჯდომარეები არიან: **სარა ვილიამსონი და მიშელ დანი;** საპატიო მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე: **მარიელა ს. ტეფტი.**

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მხარდამჭერია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **გიორგი ჟორდანიანი.**

Please join us as members of *Friends of the Georgian Ballet* and help us to support the revitalization of this venerable ballet company under the artistic directorship of world-renowned ballerina, Nina Ananiashvili

Founders of *Friends of the Georgian Ballet* are: **Silva Akopian, Lily Hauf, Irina Khomeriki, Lia Machavariani,** and **Elisabed Sagaradze.** Honorary founders are: Maida MacLaren and Inna Gudavadze.

Members of the Governing Board are: Co-Chairmen **Sarah Williamson** and **Michele Dunn;** Honorary Chairman is: **Mariella C. Tefft.**

Friends of the Georgian Ballet is supported by Artistic Director of the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre **Giorgi Jordania.**

Friend of
THE GEORGIAN BALLET



დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დარეკოთ:
For additional information, please call:

(995 32) 235 75 03



Arabesque

No2(22) 2013

Ballet Magazine

„არაბესკი“ მუსიკალური ბალეტის



ზაქარია ზალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის
საბალეტო დასის ჟურნალი

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF
THE TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET STATE THEATRE

გამოცემის წელიწადში ორჯერ

Issued twice a year

საბალეტო დასის სამხატვრო თეატრის სამხატვრო
ხელმძღვანელი ხელმძღვანელი
ნინო ანანიაშვილი გიორგი შორაძანი

Artistic Director of
the Ballet company
NINA ANANIASHVILI
Artistic Manager
of the Theatre
GIORGI JORDANIA

მთავარი რედაქტორი Editor-in-Chief
ილია თავბერიძე ILIA TAVBERIDZE

ინგლისური ტექსტების Editor of the English
რედაქტორი language content
თორნიკე ხომერიკი TORNIKE KHOMERIKI

დიზაინი Design by
ბესიკ დანელია BESIK DANELIA

ფოტოგრაფი Photographer
ლალო ვაჩნაძე LADO VACHNADZE

გარეკანის პირველ გვერდზე ნუცა ჩეკურაშვილი და დავით ანანიაშვილი „1st Flash“.
გარეკანის მეორე გვერდზე თამაზ ბახტაძე და რიო კატო „Petite Mort“.
გარეკანის მესამე გვერდზე სვეტა ბალეტოძე „გელინო“.
ლალო ვაჩნაძის ფოტოები

First cover page: Nutsa Chekurashvili, David Ananiashvili in *1st Flash*.
Second cover page: Tamta Bakhtadze, Ryo Kato in *Petite Mort*.
Fourth cover page: scene from the ballet *Gelina*. Photographs by Lado Vachnadze

ნომერში გამოქვეყნებულია ლალო ვაჩნაძის, გია გოგატიშვილის, თეატრის, კინოს,
მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის, ეროვნული არქივის, კულტურის სამინისტროს
პრეს-ცენტრის, საქართველოს ამერიკელ მეგობართა საზოგადოების,
ირინა ჯანდიერის, ხათუნა მხარელებას პირადი არქივის ფოტოები.

The issue features photographs by Lado Vachnadze, Gia Gogatishvili, the Theatre, Cinema,
Music and Choreography Museum, the National Archive, the Ministry of Culture Press
Center, the American Friends of Georgia, and personal archives of Irina Jandieri and
Khatuna Mzarelua.

დაბეჭდა შპს „ფავორიტ სტილი“
Printed in "Favorite Style" Ltd

თბილისი, რუსთაველის გამზ. 25

25, RUSTAVELI ave. 0108, TBILISI, GEORGIA

ტელ/TEL: +995 32 235 75 03

ტირაჟი: 300

UDC (УДК) 792 - 8

A - 70

ISSN 1512-3294

www.opera.ge

ისევე მოცარტი, ისევე კილიანი!

2013 წლის ბოლო საბალეტო პრემიერა თანამედროვეობის გამოჩენილი ქორეოგრაფის ირჟი კილიანის ბალეტი „Petite Mort“ აღმოჩნდა. იგი ქორეოგრაფის „შავ-თეთრი“ ბალეტების იმ სერიიდანაა, რომლის რამდენიმე სპექტაკლი 2008 წელს იქნა თბილისში წარმოდგენილი, მათ შორის იყო მოცარტის „ექვსი ცეკვა“. ზალცბურგის ფესტივალისთვის კილიანი კიდევ ერთხელ მიბრუნებია მოცარტის გენიალურ მუსიკას. შავი და თეთრი ფერები, კონტრასტები და სრულიად განსხვავებული მოძრაობები, ექვსი ბალერინა, მამაკაცი მოცეკვავე და ექვსი მანეკენი – მაყურებელმა, ამჯერადაც, იშვიათი სილამაზის და ფორმის წარმოდგენა ნახა.

2013 წელს თეატრში ოთხი საბალეტო პრემიერა შედგა. მათგან იორმა ელოს „1st Flash“ გამოვყოფთ – კილიანის მოსწავლის, მისი დასის ყოფილი მოცეკვავეს და შეიძლება ითქვას თანამოაზრის ბალეტს. ვინც „1st Flash“ ნახა და შემდეგ კილიანის „Petite Mort“ პრემიერასაც დაესწრო არ გაუჭირდებოდა საკუთარი ხედვა გასჩენოდა ამ ორი ქორეოგრაფის ნამუშევარზე. კილიანს ყოველთვის გამოარჩევს ღრმა აზროვნება ქორეოგრაფიაში, იორმა ელოსთვის კი მთავარი აქცენტი არ კეთდება მოძრაობათა სიზუსტეზე, ქორეოგრაფი მოცეკვავეს ინტერპრეტაციის მეტ შესაძლებლობას აძლევს. ერთი და მეორე ბალეტზე საოცრად კონტრასტულია ერთმანეთისგან და ამითაა საინტერესო.

მაგრამ მთავარი მაინც ის გვგონია, რომ თბილისში, ჩვენს თეატრში, საშუალება გვაქვს ვნახოთ ის, რაც დღეს თანამედროვე ქორეოგრაფიაში საუკეთესოდ ითვლება. ამ პრემიერების გამო 2013 წელი შემოქმედებითად, მართლაც, საინტერესოდ შეიძლება ჩაითვალოს.

იმედია, არც 2014 დაგვტოვებს უინტერესოდ!

გილოცავთ დამდებ შობა-ახალწელს!

MOZART AND KYLIÁN AGAIN!

The role of the final ballet premiere of the 2013 season was taken up by *Petite Mort*, a piece by famous contemporary choreographer Jiří Kylián. The ballet is from the choreographer's "Black and White" series – from which a number of ballets were presented in Tbilisi in 2008. For *Petite Mort*, Kylián had again turned to Mozart's masterpiece of music for the Salzburg Festival. Monochrome colors, contrasts, different movements, six ballerinas, six male dancers and six foils comprised what was another show of rare beauty and form for the audience.

The theatre featured premieres all year, with *1st Flash* by Jorma Elo – Kylián's student, former dancer and like-minded artist – a distinctive piece. Those who went to see both *1st Flash* and then *Petite Mort* would have had no difficulty forming their view on the pieces by the two choreographers. Kylián is always marked for deep thought in choreography, while for Elo the focus is not on exact movements for dancers, allowing them more space for interpretation. The two ballets were amazingly contrasting, the thing that made them both engaging.

Most importantly, we have had the opportunity to see at our Tbilisi theatre the pieces considered the best in the contemporary choreography. In this sense, 2013 was indeed special in terms of creativity.

Hopefully 2014 is not going to leave us indifferent either!

MERRY CHRISTMAS AND A HAPPY NEW YEAR!

04

ირინა ბაგაური · IRINA BAGAURI
1st Flash

08

გელინო
Gelino

12

BALLET NEWS

161-ე სეზონის დახურვა
Closing of the 161st season

თბილისის თეატრალურ ფესტივალზე
At the Tbilisi Festival of Theatre

გიორგი ალექსიძისადმი მიძღვნილი კონფერენცია
A conference on Giorgi Aleksidze



ლევან პაიჭაძე · LEVAN PAICHADZE

14

პატრიკ დელკროა: „თქვენი მოცეკვავეები მზად არიან მეტი ისწავლონ“

Patrick Delcroix: “Your dancers are open to learning”

16

Petite Mort

22

BALLET NEWS

ნინო ანანიაშვილის გამოსვლები კიევში, მინსკა და ტოკიოში
Nina Ananiashvili's performances in Kiev, Minsk and Tokyo

ქველმოქმედება
Charity

იაპონური ჯილდო ნინო ანანიაშვილის
A Japanese prize FOR Nina Ananiashvili

სალამო ვენეციაში
THE EVENING IN VENICE





ფილმის პრემიერა · FILM PREMIERE

24

„ბალეტი საქართველოში“
“Ballet in Georgia”

გასტროლი · TOUR

მარიკა შალიკაშვილი · MARIKA SHALIKASHVILI

28

საარემას ოპერის დღეები
Saarema Opera Days

დაჯილდოება · AWARDS

34

ბალეტის ახალი „ვარსკვლავები“
New “Stars” of ballet



37

BALLET NEWS

ეიფმანის ბალეტი თბილისში
AN EIFMAN BALLET IN TBILISI

სახელები · NAMES

ნინო მდვადზე · NINO MDEVADZE

38

მარია ბაუერი
Maria Bauer

42

ბალეტის მეგობრების ახალი სეზონი
New season for Friends of
the Georgian Ballet

ინტერვიუ · INTERVIEW

44

„კურთხეული გაზაფხული“
The Rite of Spring

48

დასი
The Company



ირინა ბაგაური

Irina Bagauri

1st Flash

სანამ ბალეტების შექმნას დაიწყებდა, იორმა ელო რამდენიმე პრესტიჟული დასის მოცეკვავე იყო და კიდევ უფრო ადრე, როგორც ბევრი ფინელი ბავშვი, ჰოკეისტობაზე ოცნებობდა, მანამდე, სანამ ერთ დღესაც უფროს დებს არ მიაკითხა ბალეტის გაკვეთილზე და ცეკვით არ დაინტერესდა. დღეს მის სახელს მსოფლიოს ყველაზე დიდი თანამედროვე ქორეოგრაფების გვერდით მოიხსენიებენ და ელოს ბალეტების დადგმის უფლების მოპოვების პატივიც მხოლოდ გამორჩეულ თეატრალურ კომპანიებს აქვთ. მათ ჩამონათვალში კი წეღს ნინო ანანიაშვილის თბილისის საბალეტო დასიც მოხვდა.

იორმა ელოსთვის პირველი საბალეტო შთაბეჭდილება სხივის პირველ გაელვებასთან ასოცირდება და ასე უწოდა კიდევ თავის ერთ-ერთ პირველ ქორეოგრაფიას – First Flash, რომლის ნახვის საშუალებაც ქართველ მაყურებელს 29-30 ივნისს, საბალეტო სეზონის დახურვის წინ მიეცა.

First Flash ერთმოქმედებიანი ბალეტია და სრულ სიჩუმესა და სიბნელეში იწყება.

მუსიკის გარეშე ცეკვას თავად ელო კაფ-კასეული კონცეფციით ხსნის: „როდესაც მუსიკა ჩერდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავრდება, ის სიჩუმეში განაგრძობს არსებობას“. *First Flash* უსიუჟეტო ნაწარმოებია და ქორეოგრაფიული ტექსტი არ გააჩნია, თუმცა, ავტორი თავის შემოქმედებას ისეთ კონცეპტუალურ ახსნას უძებნის, რომლის საფუძველსაც არა მხოლოდ მეოცე საუკუნის კლასიკოსების ნააზრევში, პალეოქრისტიანი ავტორების შემოქმედებაშიც წააწყდებით.

მუსიკა ასევე ფინელი კომპოზიტორის, იან სიბელიუსის სავიოლინო კონცერტზეა (D minor; Op. 47) დადგმული. ხმოვანი ნაწილი ამ დადგმაში უდიდეს როლს ასრულებს. ბალეტში მთავარ ემოციურ სათქმელს, ერთი შეხედვით, სწორედ ბგერები გადმოსცემენ და მოცეკვავეებიც ხშირად თითქოს გაცოცხლებული ნოტების ფუნქციას ითავსებენ.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება შუქ-ჩრდილების თამაშსა და დროდადრო მკვეთრ, თითქმის დამაბრმავებელ გაელვებებს, რომელიც არა მხოლოდ სცენას იპყრობს, დარბაზში მსხდომ მაყურებელსაც ტრის თვალს.

დადგმა, ავტორისავე თქმით, ადამიანების შეხვედრებსა და დაშორებებზეა. „ეს ბალეტი პირველ შთაბეჭდილებებზეა, იმაზე, თუ როგორ დავიწყე ცეკვა, რატომ მოვისურვე ამის კეთება და აქედან წამოვიდა სახელიც – *First Flash*. ეს ქორეოგრაფია უკავშირდება ჩემს მშობლებსაც, იმ ადგილებს, საიდანაც მოვდივარ. ხშირად მოცეკვავეები ახლობლებს ტოვებენ და ძალიან შორს მიდიან, ალბათ იმიტომ, რომ მათი სიყვარული საქმისადმი იმდენად დიდია, რომ ეს აიძულებთ მიატოვონ ყველაფერი. ეს ქორეოგრაფია კი ალბათ ჩვენი მშობლებისთვის იმის გამოხატულებაა, რომ შეგვიძლია რაღაც ვაკეთოთ და ჩვენი გადაწყვეტილება სწორი იყოს“.

ბალეტში ექვსი მოცეკვავე მონაწილეობს. თბილისში საპრემიერო სპექტაკლი ნინო გოგუამ, ეკატერინე სურმავამ, თამთა ბახტაძემ, ერიკ ბუროუმ, დავით ანანელმა და მამუკა კიკალიშვილმა იცეკვეს.

იორმა ელოსთან მუშაობის პროცესსა და ამ დადგმის ქორეოგრაფიაზე ბალეტის წამყვან სოლისტს, ნინო გოგუას ვესაუბრეთ.

ნინო გოგუა: „ფიზიკურად და შესასრულებლად ეს ქორეოგრაფია უმძიმესია. თავიდან, როდესაც ეს ბალეტი ვნახე, პირველი კითხვა, რაც გამიჩნდა, იყო – ნუთუ, შეიძლება ადამიანმა ასეთი სისწრაფით იმოძრაოს? ესაა საკმაოდ ტეხილი და სწრაფი მოძრაობების სინთეზი, რომელიც, ძირითადად,

Before Jorma Elo began creating ballets, he danced at a number of prestigious companies. And before that – just like so many kids from Finland – he dreamed of becoming a hockey player. That was before he visited his elder sisters at a ballet class one day, which sprang an interest for dance. Today he is cited among the biggest contemporary choreographers, while only distinctive theatre companies obtain the right to stage ballets by Elo. Nina Ananiashvili’s company from Tbilisi joined the list this year.

For Elo, his first ballet impression had an impression of a ray’s *first flash*, thus the name of one of his first choreographic works, *First Flash* – which the Georgian audience had the opportunity to see on June 29–30 before the annual closing of the ballet season.

The one-act piece begins with complete silence and pitch-darkness. Elo defines dancing without music using a Kafka concept that says “when music stops, it does not signify its end; it continues to exist in silence”. *First Flash* is a piece without plot and choreographic text, although the author finds a conceptual explanation tracing not only to XX century classic thinkers but also paleo-Christian authors.

The score is set to the Violin Concerto in D minor, Op. 47 by Elo’s late compatriot Jean Sibelius, with sound playing a huge role in the staging. Sounds are what seemingly serve to convey the main emotional story, while the dancers also seem to often take up the function of musical notes come alive.


Other significant features are the play of lights and shadows as well as occasional sharp, almost blinding flashes that not only conquer the stage but also flash into the eyes of the audience.

The staging – according to the author – is about meetings and breakups. “The ballet is about first impressions, about how I started to dance and why I decided to do it. The title *First Flash* appeared from this source. The choreography is tied to my parents and the places I have originated from. Often dancers have to leave their relatives and travel far, as their love for their job is big enough to make them leave everything behind. This choreography is perhaps an expression for our parents that we can do something that shows our decisions can be right”.

The ballet features six dancers. The premiere performance was danced by Nino Gogua, Ekaterine Surmava, Tamta Bakhtadze, Eric



თამთა ბახტაძე და უილიამ პრატი
TAMTA BAKHTADZE, WILLIAM PRATT





ნინო გოგუა
NINO GOGUA



ეკა სურმავა, დავით ანანიაშვილი
EKA SURMAVA, DAVID ANANIASHVILI



ნინო გოგუა და დავით ანანიაშვილი
NINO GOGUA, DAVID ANANIASHVILI

მოდერნ ბალეტის ტრადიციებზე დაფუძნებული, თუმცა ამ ქორეოგრაფიაში იყო ტაიჩის, იოგას ელემენტებიც, რომელსაც ელო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

მსგავს სტილთან პირველად მოგვიწია შეხება, აქედან გამომდინარე, რთული იყო ბალანსის შენარჩუნება. თუმცა, საბედნიეროდ, მუშაობის პროცესი ძალიან საინტერესო გამოდგა. იორმა ელოსთან ერთად, დამდგმელი ქორეოგრაფი კრისტოფ დოზი ინდივიდუალურად გვარგებდა ამ დადგმას. იშვიათად მიმიღია ასეთი სიამოვნება რეპეტიტორთან მუშაობისგან, კრისტოფმა იცოდა, როგორ უნდა მოეტანა ჩვენამდე ეს ახალი ქორეოგრაფია. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლაში არ გავდივართ მოდერნს, ეს ცოტა რთულია ხოლმე ჩვენთვის, მან კი ათასჯერ აგვიხსნა, გვანახა თითოეული მოძრაობა, რომ გავვეგო, გავვეთავისებინა და გვეგრძნო ეს ტექნიკა“.

ბალეტის ქორეოგრაფიაში დიდი ადგილი უჭირავს ქალისა და მამაკაცის ცეკვას. თუმცა First Flash წმინდა ჩრდილოური ბალეტია, ჩრდილოური ტემპერამენტით, სადაც მოცეკვავეები გნებებს თითქმის არ გამოხატავენ და ცეკვავენ ემოციების გარეშე, ხშირად ხისტი მოძრაობებით და სათქმელს გადმოსცემენ იმ ქორეოგრაფიული ენით, რომლის ავტორიც დღეს უკვე შეუძლებელია აგერიოს სხვა ბალეტმასტერებში.

ნინო გოგუა: „სანამ ქორეოგრაფიაზე მუშაობას დავიწყებდით, ბუნებრივია, დავსვით კითხვა, თუ რაზე იყო ეს ბალეტი, მაგრამ ასე კონკრეტულად არაფერი უთქვამს, უბრალოდ, სამივე წყვილს განსხვავებული მინიშნებები მოგვცა. ადაჯოებში ზოგ წყვილს უნდა ჰქონოდა ერთმანეთისადმი აგრესია, უნდა გადმოგვეცა კონფლიქტური სიტუაციები, ოჯახური მდგომარეობა, ბედნიერი, უბედური, მოკამათე წყვილები. „თქვენ ვერ იტანთ ერთმანეთს, პრობლემა გაქვთ და უნდა გადაჭრათ, ქალი კამათში ყოველთვის არის პირველი, რადგან ბევრს ლაპარაკობს და მამაკაცი იმისთვისაა, რომ ეს უნდა მოისმინოს“, – უფრო ასეთი, ყოფითი მინიშნებები იყო და დანარჩენი ჩვენ მოგვანდო. ეს არის ძალიან მკაცრი ბალეტი: „აქ უნდა იყო რუსი ჯარისკაცებივით და უბრალოდ უნდა ასრულებდეთ

Burrough, David Ananeli and Mamuka Kikalishvili.

We spoke to the Tbilisi company’s leading soloist Nino Gogua about the working process with Jorma Elo and the choreography.

Nino Gogua: “In physical and performing terms this choreography is very hard. The first time I saw the ballet I asked myself if human body could move at such pace. This is a synthesis of broken and fast movements mostly based on modern ballet but with elements of Taichi and Yoga, which Elo pays a lot of importance to.

“It was our first encounter with the style so it was difficult to keep the balance, although, fortunately, the working process was very interesting. Alongside Jorma Elo, staging choreographer Christophe Dozzi worked to set the staging to our individualities. I had rarely experienced such pleasure from working with a repetiteur. Christophe knew how to bring the new choreography to us. It is sometimes a bit tricky for us, as we are not taught modern choreography at school, but he explained everything a thousand times, showed us every movement to make sure we understood, were familiar with and felt the technique”.

Ballet choreography holds an important place for dance involving a female and a male, although First Flash is a typical Nordic ballet with corresponding temperament, in which dancers almost never show passion and perform without emotions, often with stiff movements, conveying the substance with the choreographic language, the author of which is nowadays impossible to confuse with other ballet masters.

Nino Gogua: “Before we began working on this choreography it was only natural we asked what the ballet was about, but Elo did not tell us anything definite, just gave different hints to the three couples. In adagios some couples had to show aggressiveness



გარკვეულ დავალებას“ – ზოგჯერ ასეც კი გვეუბნებოდა და მეც ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში მთავარ სათქმელს ქორეოგრაფია ამბობს თავის თავზე და ეს აღარ საჭიროებს დამატებით ემოციებს“.

გარდა ქორეოგრაფისა, საკუთარ სპექტაკლებზე მუშაობისას, იორმა ელო გამნათებლის, სცენოგრაფისა და კოსტიუმების მხატვრის ფუნქციასაც ითავსებს. დღეს ის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი ქორეოგრაფია. ბალეტებს დგამს ისეთი პრესტიჟული დასებისთვის, როგორებიცაა ABT-ის (ამერიკული ბალეტის თეატრი), მოსკოვის ბოლშოის, ვენის ოპერის, დანიის სამეფოს, ნორვეგიისა და ფინეთის სახელმწიფო თეატრების კომპანიები. მისი ტიტულების სია ძალიან გრძელია: არის ჰელსინკის საბალეტო კონკურსის გამარჯვებული, საერთაშორისო ჯილდოების – Benois de la Danse-ისა და რუდოლფ ნურიევის პრიზის, ფინეთის სახელმწიფო პრემიის მფლობელი. 2006 წელს კი ჟურნალმა Pointe Magazine საბალეტო სამყაროს VIP ადამიანად დაასახელა.

First Flash-ის პრემიერა, 2003 წელს, ნიდერლანდების ცეკვის თეატრში შედგა – ესაა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თეატრალური დასი, რომლის რეპერტუარიც თანამედროვე წამყვანი ქორეოგრაფების ნამუშევრების სიუხვით გამოირჩევა. შემდგომში ეს ბალეტი არაერთ დიდ სცენაზე დაიდგა და მისმა ქართულმა პრემიერამაც ნამდვილად გაამართლა მოლოდინი.

ნინო გოგუა: „ქორეოგრაფები ჩვენი შესრულებით კმაყოფილები დარჩნენ და თქვეს, რომ რუს მოცეკვავეებზე არანაკლებ კარგად ვიცეკვეთ, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან გვესიამოვნა. ეს ჩვენი მუშაობის ხარისხზე მეტყველებს. ელო დღეს ერთ-ერთი წამყვანი ქორეოგრაფია და ნამდვილად კარგი რამ გაკეთდა მისი აქ ჩამოყვანით. ეს დიდი ბედნიერებაა ჩვენთვის, მოცეკვავეებისთვის, რადგან აუცილებელია, რეპერტუარი იყოს მრავალფეროვანი. გარდა ამისა, დასის წევრებთან ერთად იზრდება მაყურებელიც, რომელიც ხედავს, რომ ის, რაც დღეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებშია, ჩვენც გვაქვს“.

towards each other, portray conflicts, family relations, as well as happy, unhappy and arguing couples. His hints were like, ‘You can not tolerate each other; you have an issue you need to solve. A woman leads in argument as she talks a lot and a man needs to listen’. He trusted us with the rest. This is a very strict ballet. ‘You need to be like Russian soldiers, just fulfilling certain tasks’, he even used to tell us. I believe in such cases choreography is left to portray the main substance and there is no need for additional emotions”.

Besides choreographing, Jorma Elo takes up functions of lighting designer, scenographer and costume designer for his ballets. He is one of the most in-demand choreographers. He stages his pieces for prestigious companies like ABT, Moscow Bolshoi Theatre, Vienna Opera, Royal Danish Ballet, Norway and Finland State Theatres. His award list is very long and includes a victory at the Helsinki Ballet Contest, international prizes Benois de la Danse and the Rudolf Nureyev Prize, and Finland State Prize. The Pointe Magazine named him as a VIP of the ballet world in 2006.

First Flash premiered in 2003 at the Netherlands Dans Theater – one of the most interesting theatre companies of the world which is distinctive for having a repertory full of leading contemporary choreographers. The piece was subsequently staged on a number of big stages. The Georgian premiere definitely lived up to expectations, too.

Nino Gogua: “The choreographers were happy with our performance and told us our dance was equal to that of the Russian dancers, which was a source of great pleasure. It says something about the quality of the work we did. Elo is one of the leading choreographers around and it was great to see him invited to work with our company. We the dancers are very happy for it, as the repertory needs to be diverse. Besides, the audience grows alongside the company when they see we have access to the things people in developed countries have.”

ეკა სურმავა და მამუკა კიკალიშვილი
EKA SURMAVA, MAMUKA KIKALISHVILI

იორმა ელო პრემიერის შემდეგ
JORMA ELO AFTER PREMIERE



გელინო Gelino

გელინო – თურქული სიტყვაა და პატარძალს ნიშნავს. ეს ტერმინი ქართულ მეტყველებაში, სავარაუდოდ, მე-17 საუკუნეში გაჩნდა. ლაზეთში, თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული წარმომავ-


ლობის ადამიანები, ამ სახელწოდების სიმღერასაც ასრულებენ. მშობლები „გელინოს“ იმ იმედით მღერიან, რომ პატარძალი საკუთარ ფუძეს არ მოსწყდება და კერას არ დაივიწყებს.

საშა ევთიმოვას ამავე სახელწოდების ერთმოქმე-

Gelino is Turkish for bride. The word supposedly first appeared in the Georgian talk in the seventeenth century. Locals with Georgian roots in Lazeti, on the Turkish territory, have a song titled with the term, with parents singing the piece in hope that a bride

will not forget and separate from her roots.

The similarly named ballet by Alexandra Evtimova – which premiered at the closing of the ballet season on June 29 – features music by



დებიან ბალეტში, რომლის პრემიერა 29 ივნისს, საბალეტო სეზონის დასურვამდე, გაიმართა, ჯგუფ „შინ“-ის მუსიკალური კომპოზიციებია გამოყენებული. ქორეოგრაფიულ ტექსტს კი „გელინოს“ უძველესი ამბავი უდევს საფუძვლად.

მაგრამ ბალეტში ერთი პატარძლის ისტორია არაა მოთხრობილი. შვიდი ბალერინა, რომელიც სპექტაკლში მონაწილეობს, შვიდ პატარძალს განასახიერებს და მაცურებელს საკუთარი სევდიანი სიყვარულის ამბავს უყვება.

გადმოცემის მიხედვით, გელინოს სიმღერის დროს, პატარძალს ქორწილისთვის მშობლები და მისი მეგობრები ამბავს უდებენ. ბალეტში კი ქორეოგრაფმა თითოეულ მათგანს სიყვარულის ისეთი ამბავი შეუთხზა, როცა ქორწინების გადაწყვეტილებას მშობლები საკუთარი შვილების ნების წინააღმდეგ იღებენ.

ბალეტს არ ჰყავს ერთი კონკრეტული სოლისტი, ქორეოგრაფიული ტექსტი შვიდივე მათგანისთვის ერთნაირია. გვანცა

The Shins, while the choreographic text is based on the ancient Gelino story.

But the ballet does not tell a story of one bride. Seven ballerinas all portray her by telling the sad love story for the audience.

The legend has it that Gelino is sung while a bride is prepared for marriage by parents and friends. The choreographer created love stories for each performer that imply their parents' decisions on wedding are against the brides' wishes.

The piece does not feature a definite soloist, while the choreographic text is identical for all seven dancers. Gvantsa Gavashelishvili, Vika Kikabidze, Maya Iluridze-Pratt, Kato Lominadze, Nata Rigvava, Nino Makhashvili, Eka Makhatchashvili, dancers of the premiere evening, appear in white wedding dresses, while rose leaves scattered over the space create an impression of a first night bed where the brides' presence is forced.



გავაშეღვივო, ვიკა კიკაბიძე, მაია ილურიძე-პრატი, კატო ლომინაძე, ნატა რიგვავა, ნინო მახაშვილი, ეკა მახაშვილი, რომლებმაც იცეკვეს საბრემი-ერო სპექტაკლი, თეთრი საქორწინო კაბებით ჩნდებიან სცენაზე. ვარდის ფურცლებით მი-მოზღვრული სივრცე თითქოს პირველი ღამის სარეცელს წარმოადგენს, სადაც მათი ყოფნა არანებაყოფლობი-თი, ძალდატანები-თი იქნება.

მუსიკალური მასალის არჩევანი ქორეოგრაფმა ჯგუფ „შინ“-ის და სტუდია „ბრავო რექორდის“ ერთობლივ პროექტში საბალეტო დასის მონაწილეობის შემდეგ გააკეთა. „არჩევნებიდან გამოფენაში“ საშა ევთიმოვამ, გია ყანჩელის მუსი-კალურ კომპოზი-ციებზე, რამდენიმე ქორეოგრაფიული ეტიუდი დადგა. „გელინოსთვის“ თემები სწორედ ამ ჯგუფის ალბომიდან შეირჩა.





The choreographer made the decision on score after the company participated in a collaborative project by The Shins and Bravo Records studio. Evtimova danced a number of choreographic etudes on musical compositions in The Extraordinary Exhibition and chose themes for *Gelino* from the album.

This was an impressive performance with original music and costumes. The company presented the happy and at the same time sad story of brides at the beginning of a new season as well.

პერფორმანსი, ორიგინალური მუსიკით და კოსტიუმებით, პატარძლების ერთი მხრივ სასიხარულო და ამავე დროს სევდიანი ისტორია საბალეტო დასმა ახალი სეზონის დასაწყისშიც წარმოადგინა.



საშა ევტიმოვა პრემიერის შემდეგ
ALEXANDRA EVTIMOVA AFTER PREMIERE



161-ე სეზონის დასურვა

საბალეტო დასმა სეზონი ორი ერთმოქმედებიანი ბალეტის პრემიერით დასურა. საშა ევტიმოვას „გელინოსა“ და იორმა ელოს „1st Flash“-თან ერთად, პროგრამაში საბალეტო დივერტისმენტი იქნა წარმოდგენილი. პა დე დე „დონ კიხოტიდან“ პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილმა და დასის მოწვეულმა სოლისტმა ვასილ ახმეტელმა იცეკვეს. მაყურებელმა საერთაშორისო პრემია „ვარსკვლავის“ ახალი ლაურეატების ჩინარა ალიზადეს და ალექსანდრე სმოლიანიანოვის (მოსკოვის დიდი თეატრი) გამოსვლაც იხილა, რომლებმაც იცეკვეს პა დე დე ბალეტიდან „თილისმა“. დივერტისმენტში ასევე მონაწილეობდნენ დასის სოლისტები ნინო მათიაშვილი და მამუკა კიკალიშვილი (პა დე დე ბალეტიდან „არლეკინადა“), ნუცა ჩეკურაშვილი და რიო კატო (პა დე დე ბალეტიდან „ამაო სიფრთხილე“).

CLOSING OF THE 161ST SEASON

The company concluded the season with two one act premieres. Alongside *Gelino* by Alexandra Evtimova and *1st Flash* by Jorma Elo, the program features a divertissement of the *Don Quixote* pas de deux with the cast of prima ballerina Nina Ananiashvili and invited soloist Vasil Akhmeteli. The audience was also treated to a performance by the latest laureates of the “Star” international prize Chinara Alizade and Alexander Smoliyaninov (Moscow Bolshoi Theatre), who danced *The Talisman* pas de deux. The divertissement also featured soloists Nino Matiasvili and Mamuka Kikalishvili (pas de deux from *Harlequinade*), Nutsa Chekurashvili and Ryo Kato (pas de deux from *La fille mal gardée*).



ნინო ანანიაშვილი, ვასილ ახმეტელი.
„დონ კიხოტი“
NINA ANANIASHVILI, VASIL AKHMETELI IN
DON QUIXOTE

თბილისის თეატრალურ ფესტივალზე



თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში წელს მეორედ მონაწილეობდა. 7 ოქტომბერს, გრიბოედოვის თეატრში, ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა იქნა წარმოდგენილი. მაყურებელმა და ფესტივალის უცხოელმა სტუმრებმა იური პოსოხოვის „საგალობელი“, იორმა ელოს „1st Flash“ და საშა ევტიმოვას „საიდუმლო ბაღი“ ნახეს. ფესტივალის სტუმრებისთვის საბალეტო დასის გამოცემები და სარეკლამო-საცნობარო მასალები გამოიფინა. თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი წელს მეხუთედ გაიმართა.

AT THE TBILISI FESTIVAL OF THEATRE

Tbilisi Opera and Ballet Theatre Ballet Company participated in the Tbilisi International Festival of Theatre for the second time this year. The company presented a one act ballet program on October 7 at the Alexander Griboyedov Theatre, with audience and visitors treated to *Sagalobeli* by Yuri Possokhov, *1st Flash* by Jorma Elo and *The Secret Garden* by Alexandra Evtimova. Festival visitors were also shown company publications and booklets during what was the fifth annual occasion of the festival.



გიორგი ალექსიძისადმი მიძღვნილი კონფერენცია

თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების სამხრეთკავკასიური ფესტივალის პროგრამის ფარგლებში 5 ოქტომბერს, „თეატრი-ფაბრიკაში“, ქორეოგრაფ გიორგი ალექსიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონფერენცია-სალამო გაიმართა. ცნობილი ქართველი ქორეოგრაფის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონფერენცია არა მხოლოდ მის საბალეტო სპექტაკლებს, არამედ თეატრსა და კინოში გ. ალექსიძის მოღვაწეობას შეეხებოდა. ორიგინალურად მოფიქრებული და გადაწყვეტილი სალამო, რომელიც რუსთაველის თეატრის მსახიობს ნინო კასრაძეს მიჰყავდა, თეატრის ფოიეში დაიწყო (სადაც გამოფენილი იყო გ. ალექსიძის მოღვაწეობის ამსახველი მასალები) და დარბაზში გაგრძელდა. კონფერენციაში მონაწილეობისათვის თბილისში სპეციალურად ჩამოვიდნენ პეტერბურგის კონსერვატორიის მუზეუმის დირექტორი, გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის ექსპერტი, მუსიკათმცოდნე ერა ბარუტჩევა და რუსეთის სახალხო არტისტი, ქორეოგრაფი, პეტერბურგის ა.ვაგანოვას სახელობის აკადემიის საბალეტმაისტერო ფაკულტეტის კათედრის გამგე იური პეტუხოვი. თავიანთ გამოსვლებში მათ თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარებაში გიორგი ალექსიძის, როგორც ქორეოგრაფის ადგილზე და მის პედაგოგიურ მეთოდზე ისაუბრეს. გ. ალექსიძის ქორეოგრაფიული სტილის, მისი ესთეტიკის და პირადი ცხოვრების საინტერესო დეტალებზე ისაუბრეს საკუთარ გამოსვლებში ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგმა ქეთევან მუხაშავერიამ, ბალეტის რეჟისორმა ნიალა გოძიაშვილმა, აკადემიკოსმა რისმაგ გორდეზიანმა, თანამედროვე ცეკვის ექსპერტმა, ფილოსოფოსმა და ჟურნალისტმა ხათუნა მზარელუამ. გიორგი ალექსიძისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც მისმა ქალიშვილმა, ქორეოგრაფმა მარიამ ალექსიძემ მოამზადა, წარმოდგენილი იქნა ფრაგმენტები ქორეოგრაფის ბალეტებიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის მსახიობების შესრულებით.



A CONFERENCE ON GIORGI ALEKSIDZE

Factory Theatre hosted on October 5 a memorial conference dedicated to the art of choreographer Giorgi Aleksidze, in frame of the South Caucasus Contemporary Dance and Experimental Art Festival.

The conference concerned not only Aleksidze's ballet works but his theatre and cinema art. The originally designed evening commenced at the theatre foyer – which also featured an exhibition of materials on Aleksidze's career – and continued in the hall, presented by Rustaveli Theatre actress Nino Kasradze. The St Petersburg Conservatory Museum Director, musicologist and expert on Aleksidze choreography Era Barutcheva and the People's Artist of Russia, choreographer and the Agrippina Vaganova Academy Ballet Master Faculty Head of Chair Yuri Petukhov traveled to Tbilisi for taking part in the conference. The visitors spoke about the role of Aleksidze in development of contemporary choreography and his teaching methods. Aleksidze's choreographic style, aesthetics as well as interesting details of personal life were topics of speeches by ballet actress Ketevan Mukhashavria, stage manager Niala Godziashvili, academic Rismag Gordeziani, and contemporary dance expert, philosopher and journalist Khatuna Mzarelua. The conference, organized by daughter of the choreographer Mariam Aleksidze, featured footage from his ballets performed by Tbilisi Opera and Ballet Theatre company dancers.

ირუი კილიანის კიდევ ერთი ბალეტის დასადგმელად საბალეტო დასთან უკვე მეორედ მუშაობდა პატრიკ დელკრუა, ქორეოგრაფი და კილიანის მუდმივი ასისტენტი. „Petite Mort“-ის პრემიერა 16 ნოემბერს გაიმართა. პატრიკ დელკრუამ, პრემიერის წინ, „არაბესკის“ შეკითხვებს უპასუხა:

პატრიკ დელკრუა:

„თქვენი მოცეკვავეები მზად არიან მეტი ისწავლონ“

ესაუბრა ლევან პაიტჩაძე

Interviewed by Levan Paitchadze

ჩვენს საბალეტო დასთან მეორედ დგამთ კილიანის ბალეტს. რამდენად კმაყოფილი ხართ მუშაობით?

გულახდილად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ. მოცეკვავეებთან მუშაობა კარგად მიდის და მომწონს, რომ ისინი გახსნილები არიან ახალი ინფორმაციის მიმართ, მზად არიან მეტი ისწავლონ.

Petite Mort – ეს არის ქალის ორგაზმი, ყველა განცდა და ემოცია ამ სახელწოდებაშია თავმოყრილი. გამორჩეული დადგმაა, საკმაოდ რთული, თუმცა საინტერესო. რაც მთავარია არც ერთი დასისთვის არ არის ადვილი კილიანის ბალეტების შესრულება. თუმცა ქართველი მოცეკვავეები არაჩვეულებრივად მუშაობენ. მომწონს მათი ტექნიკა და არტისტიზმი.

თქვენ კილიანთან ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ცეკვავდით და ახლაც მუშაობთ. თითქმის ყველა მისი შედევრი თქვენს თვალწინ, თქვენი მონაწილეობით შეიქმნა. რა მოგვცათ ამ ჩვიდმეტმა წელმა როგორც მოცეკვავეს და როგორც ქორეოგრაფს?

კილიანთან ჩვიდმეტი წლის მუშაობა ჩემთვის საჩუქარავით იყო. დასში მოხვედრაც კი ოცნება იყო ჩემთვის. ამ წლების განმავლობაში ვისწავლე მოცეკვავეთა პატივისცემა, რომელიც მას ყოველთვის გააჩნდა. ის არასდროს უყვირებდა ვინმეს და ყოველთვის ნდობით ეპყრობოდა. ამ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში საკუთარი თავის ნდობაც ვისწავლე.

„Petite Mort“-ში თქვენ ცეკვავდით კილიანის კომპანიაში?

ცეკვავდი იმ ბალეტებში, რომლებიც შემდგომ აქ, თბილისში დაიდგა, გარდა „დაცემული ანგელოზებისა“, რადგან ის ბალერინებისთვისაა. „ექვს ცეკვაში“, „Petite Mort“-სა და „Stepping Stones“-ში მართლაც ცეკვავდი.

თქვენ გიცეკვიათ უილიამ ფორსაიტი, ნაჩო დუატო, მატს ეკი, სხვა თანამედროვე ქორეოგრაფების ბალეტები. რით არის განსხვავებული კილიანის სტილი, რით არის იგი საინტერესო მოცეკვავისა და მაყურებლისათვის?

მართალი რომ ვთქვა, ყველა ეს ქორეოგრაფი მეტად საინტერესო, განსხვავებული და ერთი თაობისაა, გარდა ნაჩო დუატოსი, რომელიც შედარებით ახალგაზრ-

დაა. ამ ქორეოგრაფებს აქვთ ხედვა და მეთოდები, რომლებიც განსხვავებული, მაგრამ მეტად მომთხობენია და სწორედ ესაა მოცეკვავეებისთვის საუკეთესო.

იქნებ ორიდე სიტყვით გვითხრათ ირუი კილიანის ამჟამინდელ შემოქმედებით მოღვაწეობაზე. აგრძელებს თუ არა მუშაობას ახალ დადგმებზე?

მართალი რომ ვითხრათ, ირუი არასდროს ახმაურებს ამბებს მიმდინარე პროექტებზე. ახლახანს მან ფილმის გადაღებაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ორიოდე კვირის წინ გამოვიდა ნიდერლანდებში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის ახალ ქორეოგრაფიაზეც მუშაობს, თუმცა არა ნიდერლანდების ცეკვის თეატრთან. მას რამდენიმე მიმდინარე პროექტი აქვს, თუმცა ასეთ გეგმებზე ყოველთვის დუმილს არჩევს, განცხადებების გაკეთებას მუშაობა ურჩევნია. ერთხელ მითხრა, რომ მუშაობის გარეშე მოკვდება. ასე რომ, დაკავებული უნდა იყოს.

ამჟამად სად მოღვაწეობთ? რამდენიმე სიტყვა თქვენს შემოქმედებით საქმიანობაზე.

გასული წელი ჩემთვის მეტად დატვირთული იყო – მოვამზადე ქორეოგრაფია დანიის სამეფო ბალეტისთვის და ალტო თეატრისთვის (ესენი, გერმანია). იანვარში ვემზადები ლუცერნის თეატრთან (შვეიცარია) სამუშაოდ. ასევე დავბრუნდები ესენში კიდევ ერთი ბალეტის დასადგმელად.



To stage another of Jiří Kylián's ballets, his continuous assistant and choreographer Patrick Delcroix worked with the company for the second time. *Petite Mort* premiered on November 16, while Delcroix spoke to Arabesque ahead of the premiere.

Patrick Delcroix:

Your dancers are open to learning

This is the second time you are staging a Kylián ballet in our company. How happy are you with the work so far?

Honestly I am very happy. It has been going well with dancers and what I like here with them is that they are open to a lot of information, and trying a lot to understand.

Petite Mort is a name for female orgasm, with all related experiences and emotions brought together in this title. The staging is distinctive and quite difficult, but interesting. The most important thing is that even though no company finds it easy to perform Kylián, the Georgian dancers work very well. I like their technique and artistry.

You danced with Kylián for as many as seventeen years and now continue to work with him. Almost all of his masterpieces were staged before your eyes, and with your participation. What have these seventeen years given you as a dancer and choreographer?

Well, seventeen years with Kylián was almost like a gift for me, first it was a dream to get in company. Through the years, what I learnt with Kylián was

respect for the dancers that he always had, never screaming to anybody and really having an atmosphere of trust. I learned a lot for as a dancer and trusted myself, too.

Did you dance in *Petite Mort* in Kylián's company?

I did dance in the group of ballets staged here, except for *Falling Angels*, as it is for girls. But I did perform in *Sechs Tänze*, *Petite Mort* and *Stepping Stones*.

You have danced works by William Forsythe, Nacho Duato, Mats Ek and other contemporary choreographers. What makes the Kylián style different? Why is it interesting for a dancer and for audience?

You know, they all are very interesting, they are very different and they are all the same generation except of Nacho Duato, who is younger. And they all have such vision of choreography and a way of working, they all are very different but very demanding, and for dancers it is the best you can ever get.

Could you tell us a bit about Kylián's current work? Is he still working on new stagings?

Oh, you know, Jiří is very silent of what he is doing at the moment. I mean, he just did a new movie, which came out in the Netherlands two or weeks ago and I think he is busy making a new choreography, but not with the NDT. He has a few projects but he is always quiet about this. He does not like to announce, he needs to work. He said to me once that if he does not work, he will die. So he needs to be busy.

What about your current endeavors? Tell us a bit about your projects.

Well, last year has been very busy, because I choreographed for Royal Danish Ballet, for Aalto Theatre in Essen, Germany, and now in January I am going to work with Lucerne Theatre in Switzerland. I will also go back to Essen for a full length ballet.



PetiteMort

2008 წელს, როცა თბილისში პირველად დაიდგა კილიანის ორი ბალეტი, ეს ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ნამდვილი დღესასწაული იყო. თანამედროვეობის უდიდესი ქორეოგრაფის ბალეტების შესახებ თბილისში რამდენიმე ბალეტომანმა თუ იცოდა. ზოგს იგი უცხოეთში ჰქონდა ნანახი, ზოგი კი ჩანაწერებით იცნობდა. კილიანის ბალეტების დადგმადასის რეპერტუარის გამდიდრების გარდა, მოცეკვავეთა პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნოვაცია აღმოჩნდა, ბალეტის მოყვარულებს კი სულ სხვა წარმოდგენები შეუქმნა ქორეოგრაფიული

ხელოვნების ახალ გამოწვევებზე. კლასიკური ბალეტის ტრადიციებს შეჩვეული პუბლიკისთვის ცხადი გახდა, რომ ბალეტში არსებობს კიდევ უფრო საინტერესო მოვლენები, სხვა ქორეოგრაფიული ენით გადმოცემული ემოციები, კლასიკური „პაჩკე-

When two Kylián ballets were staged for the first time in Tbilisi in 2008, it was a true celebration in the cultural events of our country. Only a few ballet enthusiasts had been aware of works of the greatest contemporary choreographer. Some had seen them abroad, while others knew



ბისა“ და პუნტების გარეშე. უფროსი თაობა კილიანის ბალეტების გამოჩენას რეპერტუარში, 60-იან წლებში, თბილისში ბალანჩინის დასის პირველი გამოსვლის მომციებს აღარებს.

ირჟი კილიანი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საკუთარი ბალეტების დადგმის უფლებას ადვილად არ იძლევა. ამას თავისი ახსნა აქვს. 1968 წლის 21 აგვისტოს ჩეხოსლოვაკიაში, ქორეოგრაფის სამშობლოში, სსრკ ხელმძღვანელობით „გარშავის ხელშეკრულების“

the ballets from videos. The Kylián pieces enriched the company repertory, became a significant innovation for the professional development of its dancers and created new impressions for the audience about fresh challenges of the choreographic art. The public used to classics discovered there were different events and emotions conveyed using other choreographic language in ballet, without tutus and pointe shoes. The senior generation compared the appearance of Kylián ballets in the repertory to emotions drawn by the first performance of the Balanchine

ნატა რიგვავა, ვიორგი მშვენიერაძე
NATA RIGVAVA, GEORGI MSHVENIERADZE



სამხედრო ძალები შეიჭრნენ. ოკუპაციის წინააღმდეგ დემონსტრაციებში მონაწილეობის შემდეგ, ირჟი გერმანიაში გაემგზავრა და იქ დაიწყო საქმიანობა. თუმცა თავისუფალი სულის კილიანისთვის „პრადის გაზაფხული“ უმძიმეს მოვლენად დარჩა.

პირველი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, სადაც ქორეოგრაფის ბალეტები დაიდგა, საქართველო იყო. „დიდი ხანია თქვენი ქვეყანა და კულტურა მიყვარს და ყოველთვის მსურდა ჩამოსვლა. თუმცა ახლა მხო-

„ვარსკვლავის“ ახალმა ლაურეატებმა 161-ე თეატრალური სეზონის დახურვისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტშიც მიიღეს მონაწილეობა და იცეკვეს პადე ბალეტებიდან „თილისმა“.

performed Kitri in *Don Quixote* at San Carlos Theatre in Naples, Italy, in a redaction by Alexey Fadeechev and Nina Ananiashvili, also staged at Tbilisi Opera and Ballet Theatre in 2005. That was when Ananiashvili decided to award the prize to Chinara.

Chinara Alizade: “It is a great honour to be awarded this prize. To be honest, I was surprised to hear I would be receiving it, but I was very happy and have felt more responsibility as a result. I would like to express great deal of gratitude to Nina Ananiashvili for this trust.”

Alizade danced the Kitri role for Tbilisi audience before the awards ceremony and gala concert, partnered by Alexander Smoliyaninov, another young soloist of the Bolshoi. The

Tbilisi show was their maiden *Don Quixote* partnership.

Smoliyaninov was awarded Second Prize at Moscow International Ballet Competition in 2009. In 2010 he danced the world premiere and subsequent European tour of *And Then, One Thousand Years of Peace*, created by Angelin Preljocaj for the Bolshoi Theatre.

Alexander Smoliyaninov: “This was our first partnership in *Don Quixote* and I hope the Tbilisi audience was pleased with the evening. I am very happy and feel this prize is an assessment of the work I have done.”

The new laureates also took part in the closing ceremony of the 161st theatrical season, dancing the pas de deux from *The Talisman*.

ეიფმანის ბალეტი თბილისში

ღმერთის ძიება და უარყოფა, ურწმუნოება და რწმენა, ადამიანური ცოდვა და სულის ხსნა – ასეთი თემების შესახებ ქორეოგრაფიული ენით საუბარი ერთი ბალეტისთვის შესაძლოა ბევრიც კი იყოს. ცნობილი თანამედროვე ქორეოგრაფის ბორის ეიფმანის ბალეტის შთაგონების წყარო ამჯერად დოსტოევსკის ნაწარმოები „ძმები კარამაზოვები“ გახდა. ქორეოგრაფიული ტექსტის შექმნაში კი ეიფმანს ვაგნერის, მუსორგსკისა და რახმანინოვის მუსიკა დაეხმარა.

დოსტოევსკის ნაწარმოების მიხედვით 1995 წელს დადგმული სპექტაკლი „კარამაზოვები“, რომელმაც ქორეოგრაფს მსოფლიო აღიარება მოუტანა, ეიფმანმა მნიშვნელოვნად შეცვალა. რომანის ახალი ინტერპრეტაცია ემოციურად და ინტელექტუალურად დატვირთულია.

სანკტ-პეტერბურგის ბორის ეიფმანის საბალეტო დასმა ახალი ნამუშევარი ქართველ მაყურებელს რუსთაველის თეატრში 13 და 14 ნოემბერს უჩვენა. „ცოდვის მიღმა“ ტექნიკური და მხატვრულ-გამომ-

სახველობითი თვალსაზრისით თანამედროვე სცენიური ნაწარმოებია, რომელსაც მარადიული „დაწყვეტილი“ საკითხები გამოაქვს წინა პლანზე.

ბორის ეიფმანის საბალეტო დასი თბილისს პირველად არ სტუმრობს. 2007 წელს ბალეტომანებს საშუალება ჰქონდათ ქორეოგრაფის ორი სპექტაკლი – „მუსაგეტი“ და „რეჟივიმი“ ენახათ. უფრო ადრე თბილისელი პუბლიკა გააცნო მისმა ბალეტმა „პინკ ფლოიდის“ მუსიკაზე.

ეიფმანმა საკუთარ საბალეტო დასს საფუძველი 1977 წელს ჩაუყარა. საბალეტო სამყაროში ეს ფაქტი იმთავითვე უნიკალურ მოვლენად მიიჩნია. განსხვავებული პლასტიკური ამოცანებითა და გარდასახვის გამორჩეული უნარით ცნობილი დასის რეპერტუარში დღეს უკვე 40-ზე მეტი დადგმაა.

ეიფმანის თბილისური გასტროლი თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.



AN EIFMAN BALLET IN TBILISI

Search and rejection of God; unbelief and faith; human sin and redemption of soul – these topics might be too much for choreographic narration in a single ballet. Famous contemporary choreographer Boris Eifman this time found his inspiration in *The Brothers Karamazov* by Dostoevsky, while he was assisted by music by Wagner, Mussorgsky and Rachmaninoff in creating the choreographic text.

The choreographer significantly

changed the play *Karamazovs*, which had brought him international recognition after it was staged in 1995. The new interpretation of the novel is emotionally and intellectually laden.

The new piece was presented by the St Petersburg's Eifman troupe on November 13-14 at the Rustaveli Theatre. *Beyond Sin* is an interesting work in technical, as well as artistic and expressive terms, and will be presented by

the company in Tbilisi over two days. The piece is a contemporary stage work that brings “eternally forsaken” questions forward.

This is not the first time the company is visiting Tbilisi, with the local audience having seen two shows by the choreographer – *Musaget* and *Requiem* – in 2007. Earlier they were also impressed by his ballet on music by Pink Floyd. Boris Eifman founded his company in 1977, which was immediately noted as a unique event by the ballet world. The repertoire of the company distinctive for a specific plasticity of thinking and a special ability for transformation now includes more than forty productions.

The Tbilisi tour of the Eifman troupe was held with support by the Tbilisi Center for Culture Events and the Ministry of Culture.

ბია ბრეგვაძის ფოტოები
PHOTOGRAPHS BY BIA GOGATASHVILI



ნინო მდევაძე
Nino Mdevadze



მარია ბაუერი

კადრი ფილმიდან „აურზაური სალხინეთში“
A STILL FROM THE FILM MESS IN THE MERRY LAND

რეჟისორ ლანა ლოლობერიძის ფილმში — „აურზაური სალხინეთში“, ამბის თხრობა კახეთის ერთი მშვენიერი ძველი ქალაქის გალავანში იწყება. ფილმის პირველივე კადრში ჩნდება ლამაზი აღნაგობის ქალბატონი, რომელიც ჩქარი ნაბიჯით შემოდის მოედანზე, ოსტატურად იხურავს ქუდს და სალხინეთის ახალი ჭორების მოსასმენად იწვევს თანაქალაქელებს. ქალბატონი ულამაზესად ცეკვავს. მისი მიმოხვრა, ხელების მოძრაობა, პლასტიკა გულგრილს ვერ ტოვებს მაყურებელს. ეს ქალბატონი მარია ბაუერია — ოთხი ათეული წლის განმავლობაში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის სოლისტი და შემდგომში, წლების მანძილზე, დასის პედაგოგ-რეპეტიტორი.

ფილმის რეჟისორი **ლანა ლოლობერიძე** იგონებს: „ყოველთვის მქონდა განცდა, რომ ის ცეკვისთვის იყო გაჩენილი. ცეკვა მისი სტიქია იყო, როგორც ჩიტისთვის ფრენა და თევზისთვის ცურვა. მაჯადოვებდა მისი მოძრაობის სინატიფე ჯერ სცენაზე, მერე კი გადასალეზ მოედანზე. თელავში, ფილმის „აურზაური სალხინეთში“ გადაღების დროს სუნთქვა მეკვროდა. როდესაც ის და მურაბ კიკალიშვილი ერთად იწყებდნენ იური ზარეცკის მიერ დადგმულ ცეკვას. მაშინვე მეუფლებოდა განცდა, რომ ეს იყო სუფთა ხელოვნება და სრულყოფილება“.

სამწუხაროდ, დღემდე შემორჩენილი არაა მარია ბაუერის ცეკვის სხვა ჩანაწერი, თუ არ ჩავთვლით კიდევ ერთ ძველ ქართულ ფილმს „ჯურღალის ფარი“, სადაც მარია ბაუერი ესპანურ ცეკვაში ფრაგმენტულად გაიფლავდა.

დღეს ცოტანი არიან ადამიანები, ვისაც სცენაზე უნახავთ ეს მომხიბვლელი, შარშიანი მოცეკვავე. მაგრამ არიან ისინი, ვისაც საკუთარ პროფესიულ გამოცდილებას გადასცემდა.

„ჩემს თაობას მისი სცენაზე ხილვის საშუალება არ ჰქონია, — ამბობს ბალეტის რეჟისორი **ნიალა გოძიაშვილი**. მაგრამ მარია ბაუერი ჩვენი თეატრის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო. არაჩვეულებრივი სილამაზით გამორჩეულ ქალბატონს, გულგრილად ქუჩაშიც კი ვერ ჩაუვლიდი გვერდს. ერთხელ ქუჩაში მწვანილი ეყიდა და ეს ორი კონა ოხრაბუში ისე ლამაზად ეჭირა ხელში და მოდიოდა, ლამის მოძრაობა გაჩერებულა. თეატრში მისი მოღვაწეობა ვახტანგ ჭაბუკიანის პერიოდს უკავშირდება, რომელსაც მარია ბაუერი გვერდით ედგა. ის იყო სახასიათო ცეკვების მართლაც დიდოსტატი, ყოველმხრივ შემკული გარეგნული და პიროვნული თვისებებით. მარია ბაუერი გამორჩეული რეპეტიტორი გახლდათ, კლასიკური და სახასიათო ცეკვის უზადო მცოდნემ სოლისტთა მთელი პლეადა გაზარდა.“

მარია ბაუერი ბავშვობიდან თეატრალურ გარემოში გაიზარდა. მშობლები თეატრში მუშაობდნენ და პატარა მარიუსია პერინის სტუდიას მიაბარეს აღსაზრდელად. სტუდიის დამთავრების შემდეგ იგი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასში მიიღეს, შემდეგ სამემსრულებლო ოსტატობის ასამაღლებლად ლენინგრადის კიროვის თეატრში მიაგვლინეს.

In the film *Mess in the Merry Land* by Lala Ghoghoberidze the story begins near a gate in a beautiful old town of Kakheti. The very first shots of the film show a lady with beautiful appearance quickly entering the square, smartly fixing her hat and inviting the town's residents to hear about new rumors. Her dance is beautiful, with body and arm movement and plasticity moving the audience. This is Maria Bauer — soloist of Tbilisi Opera and Ballet State Theatre Ballet Company for four decades and repetiteur at the theatre after the dancing career.

Film director **Lana Ghoghoberidze** recalled: “I always felt she was born to dance. Dancing was her world, like flying is for birds and swimming for fish. I was impressed with the finesse of her movement first on stage and then on film set. I would skip a breath when she and Zurab Kikaleishvili began their dance staged by Yuta Zaretsky in Telavi, on the *Merry Land* set. I would immediately get the impression that this was pure art and perfection.”

Unfortunately no other footage of Bauer's dancing has been preserved, except her fragmentary appearance in a Spanish dance in the recording of another old Georgian film *The Shield of Jurghai*.

Not many who have witnessed this charming dancer on stage are still alive. But there are those who benefitted from her professional knowledge.

“My generation was not able to see her on stage”, said stage producer **Niala Godziashvili**, “but Maria Bauer was an immense phenomenon in our theatre's life. She possessed such remarkable beauty you could not ignore her in street. She almost caused traffic accident once when she walked gracefully while holding two packs of parsley after a trip to market. Her work at the theatre is tied to the time of Vakhtang Chabukiani, whom she supported. She was a master of character dancing, with all qualities of appearance and personal traits.

Bauer was raised in a theatre environment. Her parents worked at a theatre and took the little Marusya to Maria Perini's ballet studio. After graduating she was accepted at the Tbilisi Opera and Ballet Theatre Ballet Company, followed by a stint at the then Kirov Theatre of Leningrad.

Maria Bauer once said in an interview that talented choreographers must be able to constantly make dancers manage unusual and complex tasks, the ones who can capture a dancer's imagination with their fantasy of plasticity and logic, and the ones who demand creative progress. In Leningrad her teacher Alexander Chekrygin staged *A Day in Toledo* on score by Riccardo Drigo for Bauer. She also danced pas de deux from *Harlequinade*, *The Nutcracker* and *Coppelia*.

She was forced to change her style and switch to



Maria Bauer

„ლაურენცია“
LAURENCIA



ერთ ინტერვიუში მარია ბაუერი წერს, რომ ნიჭიერი ქორეოგრაფი არის ის, ვინც განუწყვეტლივ აიძულებს მსახიობს გადაწყვიტოს უჩვეულო, რთული ამოცანები; ვისაც შეუძლია გაიტაცოს მოცეკვლავი თავისი პლასტიკური ფანტაზიით, ლოგიკით, ვინც შემოქმედებით ზრდას მოითხოვს. ლენინგრადში მარია ბაუერს გამოსაშვები სალამოსთვის საკუთარმა პედაგოგმა ა. ჩეკრიგინმა დაუდგა რ. დრიგოს ბალეტი „ერთი დღე ტოლედოში“. იგი წარმატებით ასრულებდა პა დე დეს „არლეკინადადან“, „მაკნატუნადან“ და „კოპელიადან“.

კარიერის ბოლოს, სცენაზე მიღებული ტრავმის გამო, იგი იძულებული გახდა შეეცვალა სტილი და სახასიათო ცეკვების შესრულება დაიწყო. არაერთხელ დიდი ოვაცია დაუმსახურებია მის შესრულებულ ცეკვებს „ლურენსიაში“, „დონ კიხოტში“, „ბალჩისარაის მადრევანში“, „სინათლეში“, „გორდაში“.

მარია ბაუერმა მოულოდნელად დატოვა სცენა. **გურამ კუკულაძე**, თეატრის სოლისტი და წლების მანძილზე დასის სახასიათო ცეკვების პედაგოგი იგონებს, რომ „მარუსია ბაუერი იყო ბრწყინვალე მოცეკვავე, ძალიან ემოციური და ლამაზი. როცა ეს თვისებები აქვს მოცეკვავეს, მაყურებელი დიდ მორალურ სიამოვნებას იღებს. მასთან ჩემი ურთიერთობა კურიოზით დაიწყო. თეატრში ერთი წლის მისული ვიყავი, 19 წლის გახლდით, მარუსია კი დედის ტოლი. როცა „დონ კიხოტის“ რეპეტიციები გაიწერა, მე მასთან ერთად აღმოვჩნდი განრიგში. თავი ბედნიერად ჩავთვალე. უცნაური ღიმილით შემოვიდა რეპეტიციაზე. გამოსვლა მარუსიამ დაიწყო, მერე მე გამოვვარდი და მივუახლოვდი. ისეთი თვალებით შემომხედა, რომ ლამის ტანსაცმლიანად გავწითლდი. მთელი საღამო ძალიან ალეღვებული ვიყავი. დილით რეპეტიციაზე მისულს მითხრეს, რომ მარუსია პენსიაზე გავიდაო. ასე დასრულდა ჩვენი შეხვედრა სცენაზე, თუმცა ის იყო ჩემი პედაგოგი და მთელი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში ყველა როლზე მასთან ერთად ვმუშაობდი. მთავარი ღირსება, რაც მას გააჩნდა, იყო გულწრფელობა ცხოვრებასა და სცენაზე. ამასვე ითხოვდა შეგირდებისაგან. საათობით ვიდექი და ვმეცადინებოდი ყველა როლზე, რომ ეს თვისება ჩემშიც ჩამოყალიბებულიყო. მარუსია სულ გვასწავლიდა, რომ ცეკვას გული, სხეული, ტვინი ერთნაირად უნდა გრძნობდეს და მაღლობელი ვარ მისი, რომ მან ჩემი გულწრფელობა დაიჯერა“.

ირინე ჯანდიერი, საბალეტო დასის პედაგოგ-რეპეტიტორი: „სანტერესო და გამორჩეული ქალი, კარგი პედაგოგი, ძალიან არტისტული. ის შეუდარებელი ბალერინა იყო. მის სანახავად სპეციალურად მოდიოდნენ თეატრში. იყო ძვირფასი ადამიანი, თეატრში სულ კარგ ხასიათზე მოდიოდა და არც

სხვებს აძლევდა მოწყენისა და მოდუნების საშუალებას. მარუსია ძალიან მეგობრული იყო თავის მოსწავლეებთან. ჩვენ ხშირად დავდიოდით მასთან სტუმრად და ეს ყოველთვის დიდ სიამოვნებას გვანთქებდა. მკაცრი არ იყო, მაგრამ იყო მომთხოვნი, დაულალავი. როცა ის დარბაზში იჯდა და ჩვენს ცეკვას უყურებდა, ძალიან განიცდიდა. იცოდა შექებაც და თუ საჭირო იყო, საყვედურიც. მარუსია იყო ძალიან ახალგაზრდული. რეპეტიციაზე შემოვიდოდა თუ არა, თვითონ იწყებდა ცეკვას, თან ისეთი გატაცებით, რომ თვალს ვერ მოაშორებდი. მასთან ურთიერთობა დიდი სიამოვნების მომგვრელი იყო და მასზე მოგონებებიც ასევე ძვირფასია“.

მაკა მახარაძე: „როგორც მოცეკვავეს მასთან ძალიან ცოტა მაქვს ნამუშევარი, ის მუშაობდა უფრო წამყვან ბალერინებთან, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იყო სახასიათო მოცეკვავე. მასთან მოვამზადე ქუჩის მოცეკვავე, მაშინ თეატრში ახალი მისული ვიყავი. შემდეგ მამზადებდა კარმენისთვის. ჩქარი ცეკვა იყო ოლე, თვითონ არაჩვეულებრივად ცეკვავდა ამ წუთნახევრიან ნომერს. მამაჩემისა და მამიდაჩემისაგან მახსოვს, რომ ეს ცეკვა მეოთხე მოქმედებაშია და სპეციალურად ამ ცეკვის სანახავად ივსებოდა დარბაზი. ეს პატარა ცეკვა, მაგრამ ბაუერი ყოველთვის ცეკვავდა ბისზე. ისეთ ცეცხლს ანთებდა სცენაზე და დარბაზში, რომ დარბაზი კიოდა ხოლმე. არავის ვაკნინებ, მაგრამ თუ სპექტაკლზე ნახევარი დარბაზი იყო შევსებული, ამ ცეკვისთვის დარბაზში მაყურებელი სპეციალურად მოდიოდა და ივსებოდა. სულ ყველგან კამკაშებდა, ძალიან ლამაზი იყო მარუსია და ლეგენდად დარჩა. მარუსია მამაჩემის, კოტე მახარაძის და მამიდაჩემის პედაგოგი იყო. ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარდა იგი. „კოტიკ“ ასე ეძახდა მამას და მერე ეს სიყვარული ჩემზე გადმოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ერთად ბევრი არ გვიმუშავია. სპექტაკლის მერე გარეთ რომ გამოდიოდა ხვდებოდა თაყვანისმცემლების არმია“.

90-იან წლებში, საქართველოში ვითარება რომ აირია, მარია ბაუერი შვილებმა მოსკოვში წაიყვანეს. „ორივე შვილი მართმ გაზარდა, კარგი მეოჯახე იყო, მაგრამ სულ კარგ ხასიათზე იყო, სულ მღეროდა, — იგონებს **მაკა მახარაძე**. მისი შეწუხებული სახე არავის უნახავს. მას თვალს ვერ მოაშორებდი, უყურადღებოდ არავინ გაატარებდა ქუჩაში. არეულობის წლებში შვილებმა მოსკოვში წაიყვანეს, სადაც მოვინახულე. ჩემთვის ეს ძალიან ცუდი სანახავი იყო. მარუსია ძალიან შეცვლილიყო. შემყვანა თავის ოთახში და მათვალისწინებდა სურათებს. გული მწყდება რომ ის აღარ არის და ძალიან მენატრება“.

მარია ბაუერი 1995 წელს გარდაიცვალა.

ირინე ჯანდიერთან რეპეტიციაზე
ON REHEARSAL WITH IRINE JANDIERI



character dancing due to an injury received near the end of her career. Her danced from *Laurencia, Don Quixote, The Fountain of Bakhchisarai, The Light* and *Gorda* received numerous applause.

Maria Bauer left the stage unexpectedly. **Guram Kukuladze**, the theatre soloist and later character dancing teacher, recalled: “Marusya Bauer was a brilliant dancer, beautiful and full of emotion. These qualities allow audience to be fascinated. My first contact with her happened when I had been working at the theatre for a year at the age of nineteen, while she was my mother’s age. I was lined up with her for *Don Quixote* rehearsals. I was happy. She entered the studio with a strange smile. She began the piece while I entered midway and approached her. Her look almost made my clothes blush with me! I was very anxious for the whole evening, but the next morning I was told Marusya had finished her dancing career. This put an end to our partnership on stage, but she was my teacher and I worked on all my roles with her during my career. Her main quality was frankness in life and on stage. And she demanded the same from her pupils. I would spend hours practicing roles to instill the same quality into myself. Marusya would teach us that heart, body and mind should feel a dance equally, and I am grateful she believed by sincerity.”

Irine Jandieri, repetiteur of the ballet company: “She was an interesting and remarkable woman, a very good teacher, full of artistry. And she was an incomparable ballerina. Ballet enthusiasts would come to the theatre specifically to see her. She was a special person who would always come to the theatre in a good mood and never allowed others to become bored or relaxed either. Marusya was very friendly with her pupils. We would often visit her and be very glad of this experience. She was not strict, but demanding and tireless. Watching our dance in a studio, she would become very emotional. She could both praise and criticize, if necessary. Marusya was very youthful. She would begin dancing as soon as she entered a rehearsal, and you could not take your eyes off her fascinated dancing. Relations with her would please you a lot, and memories of her are equally precious.”

Maka Makharadze: “I worked very little with her as dancer, as she mostly worked with principal ballerinas despite being a

character dancer herself. I prepared the role of street dancer with her when I had recently arrived at the theatre. Then she prepared me for the Carmen part in a fast, one-and-a-half-minute dance she would remarkably perform herself. I remember my father and her sister telling me this act four dance would see full audience. It is a small piece, but Bauer would always have curtain calls. The audience would scream in delight while seeing the fire she would set on stage. I would not like to belittle anyone, but if the hall was half-full on the show, this piece would see people come to turn it full. She was bright everywhere she went. She was beautiful. And she remains a legend. She was a teacher for my father Kote Makharadze and her sister. We all loved her very much. She called my father “Kotik” and then she turned this love to me despite the fact that we did not work much together. An army of admirers would wait for her outside the theatre after performances.”

Her children took Bauer to Moscow during the 1990s disorder in Georgia. “She raised both kids alone. She was a good family person, always in good mood and singing”, recalled Maka Makharadze. “You would never see her concerned, and this mood transpired to the people around her. People could not take their eyes off her in the street. During upheavals in Georgia her children took her to Moscow, where I later visited her and was sad to see her much changed. She took me to her room and we looked through photographs. I miss her very much.”

Maria Bauer passed away in 1995.



ნადეჟდა ხარაძე, მარინა თბილელი, მარია ბაუერი
NADEZHDA KHARADZE, MARINA TBILELI, MARIA BAUER



9 ოქტომბერს, გრიბოედოვის სახელობის თეატრის ფოიეში, ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მეექვსე სეზონის გახსნა გაიმართა. საზოგადოების წევრები, ტრადიციულად ახალი სეზონის გახსნის დღეს იკრიბებიან და სამომავლო გეგმების შესახებ აცხადებენ. 162-ე სეზონზე ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებაში 51 წევრი გაერთიანდა. გაწევრიანების მსურველებს განაცხადის შეტანა მთელი სეზონის განმავლობაში შეუძლიათ.

ბალეტის მეგობრებმა ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებს ყოველწლიური სტიპენდიები გადასცეს.



ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების 2013-14 წ. სტიპენდიანტები:

1. **ნიკოლოზ ჩიხორია** – ივან იესტრახის და ევა იესტრახოვას სახელობის სტიპენდიანტი
2. **ნიკოლოზ სისაური** – პიტერ და მიკა ლანგენბერგების სახელობის სტიპენდიანტი
3. **ნიკოლოზ ფირცხელანი** – ვირჯინია მინგესის სახელობის სტიპენდიანტი
4. **მიხეილ ჯამასპიშვილი** – მაიუმი ინოს სახელობის სტიპენდიანტი
5. **ვასილ წიწილაშვილი** – მარიელა ტეფტის სახელობის სტიპენდიანტი
6. **სოფო ქარდავა** – ლია გოგოლაშვილის სახელობის სტიპენდიანტი
7. **ანასტასია ქაჯაია** – იზუმი ტაკაჰაშის სახელობის სტიპენდიანტი
8. **ლილი ლეკიაშვილი** – კარენ ვოლფსონის სახელობის სტიპენდიანტი

New season for Friends of the Georgian Ballet



The Alexander Griboyedov Theatre hosted an opening of the sixth season for Friends of the Georgian Ballet on October 9. Members of the society gather annually on the opening day to announce their plans for the future. 51 new members joined Friends of the Georgian Ballet for the 162nd season, with applications also accessible to individuals wishing to join during the season.

Members of the society also handed annual scholarships to the Vakhtang Chabukiani State School of Ballet Art.

Recipients of the 2013-2014 Friends of the Georgian Ballet scholarships:

1. **Nikoloz Chikhoria** – By the name of Ivan Jestrab and Eva Jestrabova
2. **Nikoloz Sisauri** – By the name of Pieter and Mieke Langenberg
3. **Nikoloz Pirtskhelani** – By the name of Virginia Mingues
4. **Mikheil Jamaspishvili** – By the name of Mayumi Iino
5. **Vasil Tsitsilashvili** – By the name of Mariella C. Teft
6. **Sophio Kardava** – By the name of Lia Gogolashvili
7. **Anastasia Kajaia** – By the name of Izumi Takahashi
8. **Lili Lekiasvili** – By the name of Karen Wolfson



„კურთხეული გამაფხული“

ევროპის სახლში უკვე 3 წელია თანამედროვე ბალეტის მკვლევარს, ფილოსოფოსსა და ჟურნალისტს, ხათუნა მზარელუას ლექცია-ვიდეოჩვენებების ციკლი მიყავს. „ერთი და მრავალსახოვანი ევროპა XX და XXI საუკუნეების ბალეტის ფონზე“ – ასეთია ამ პროექტის დასახელება, რომლის მხარდამჭერები ფრანგული ინსტიტუტი და ევროპის სახლი არიან. ამ ციკლის ფარგლებში ბალეტის და, ზოგადად, ცეკვის სფეროს წარმომადგენლებმა თუ მოყვარულებმა არაერთი გამორჩეული საბალეტო ქმნილების ექსკლუზიური ვიდეოჩვენება ნახეს, რომელთა დადგმები ისეთი წამყვანი ევროპული საბალეტო დასებისთვის განხორციელდა, როგორებიცაა: პარიზის ნაციონალური ოპერის, ლიონის ოპერის, ჟენევის დიდი თეატრის, მონაკოსა და სხვა საბალეტო დასები. მორიგი საღამო გასული საუკუნის ერთ-ერთ შედეგად აღიარებული ბალეტის „კურთხეული გამაფხულის“ 100 წლისთავს მიეძღვნა. ჩვენი საუბარი ხათუნა მზარელუასთან ამ უმნიშვნელოვანეს ბალეტსა და მის ისტორიას ეხება:



იგორ სტრავინსკის მუსიკაზე ვაცლავ ნიჟინსკის შექმნილი ბალეტის პრემიერას ელისეს მინდვრების თეატრში, 1913 წლის 29 მაისს, სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. დიაგილევის ცნობილი სემონების მაყურებელმა „კურთხეული გამაფხული“ არ მიიღო. იყვნენ დადგმის მხარდამჭერებიც. მაგრამ საპრემიერო სპექტაკლმა სტვენისა და ხმაურის თანხლებით ჩაიარა. მაგრამ ამ სპექტაკლმა ბალეტის ისტორიაში მისი გამორჩეული კვალი დატოვა. რით შეიძლება ახსნათ ეს?

იგორ სტრავინსკის მუსიკითა და ვაცლავ ნიჟინსკის ქორეოგრაფიით. ორივე აღიარებულია როგორც მე-20 საუკუნის კულტურის შედეგრი.

მოგესხნებათ ნიჟინსკი არ იყო ისეთი ძლიერი ქორეოგრაფი, როგორც მოგეცვავ. მაგრამ მისი ორთავე ცნობილი სპექტაკლი „ფავნის შუადღევ“ და „კურთხეული გამაფხულიც“ საკმაოდ სკანდალური აღმოჩნდა. ორთავე დღემდე ცოცხლობს სცენაზე. რა თქმა უნდა ვგულისხმობ მის აღდგენას როგორც რუსეთში, ისე უცხოეთში. რით არის საინტერესო ნიჟინსკი როგორც ქორეოგრაფი?

ვერ დავეთანხმებით, რომ ნიჟინსკი არ იყო ძლიერი ქორეოგრაფი. ის, უბრალოდ, ძალიან წინ უსწრებდა თავის დროსა და ადამიანებს. მეორე მხრივ, მან თითქოს ვერ დაამუხრუჭა საკუთარი უდიდესი ნიჭი და ენერჯია. რაღაცით მე ის ვლადიმერ მაიაკოვსკისა და გალაკტიონ ტაბიძესაც კი მაგონებს. ნიჟინსკის შემოქმედებას ძალიან სერიოზული მკვლევარები ჰყავს. დღემდე არ არის დასრულებული მისი ფენომენის ახსნის პროცესი. ჟან კოკტომ შესანიშნავად თქვა მასზე: ნიჟინსკიმ უარყო ის (იგულისხმება კლასიკური საბალეტო ტექნიკა), რამაც მას დიდება მოუტანა და სრულიად ახალი საცეკვაო ფორმების შექმნა დაიწყო. ამ თემის გავრცობა აუცილებელია და გთავაზობთ, თქვენს ერთ-ერთ მომავალ ნომერში დავუთმოთ დრო...

სამოვნებით. დიაგილევისთვის „კურთხეული გამაფხული“ ერთ-ერთი საყვარელი სპექტაკლი აღმოჩნდა. მაგრამ იყო თუ არა იგი ის დადგმა, სადაც მუსიკა და ქორეოგრაფია ისე თანხვედრაშია ერთმანეთთან, როგორც ეს ბალანჩინისა და სტრავინსკის „აპოლონ მუსაგეტის“ შემთხვევაში იყო?

ეს ძალიან საინტერესო კითხვაა. იგორ სტრავინსკიმ 1913 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში ვაცლავ ნიჟინსკის ქორეოგრაფიას შეუდარებელი უწოდა. სხვაგან კი მას სასტიკად აკრიტიკებს და წერს, რომ: ნიჟინსკიმ სრულიად გაუზარებლად იმოქმედა ქორეოგრაფიის შექმნისას და დიაგილევის მიერ მისთვის ჩანერგილი ცოდნა წყალში გადაყარაო. რადგან ორ გენიოსზეა საუბარი, მე მხოლოდ ჩემს სუბიექტურ აზრს მოგახსენებთ: სტრავინსკის მუსიკა და ნიჟინსკის ქორეოგრაფია ორი „ბომბი“ იყო. როგორც ჩანს, ეს მეტისმეტი აღმოჩნდა. გარკვეულწილად, ნიჟინსკის ქორეოგრაფიამ ჩრდილიც კი მიაყენა სტრავინსკის გენიალურ მუსიკას. მაშინ როცა ბალანჩინისა და სტრავინსკის შემთხვევაში, ბალანჩინის „ბომბი“ უფრო ჰარმონიაა, ვიდრე „ბომბი“. ბალანჩინი თავად იყო უდიდესი ჰარმონია. ასევე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბალანჩინის სანკტ-პეტერბურგში შესანიშნავი მუსიკალური განათლება ჰქონდა მიღებული და თავადაც ძალიან კარგად უკრავდა. ნიჟინსკის არ ჰქონდა მუსიკალური განათლება, მაგრამ ის მუსიკას გრძნობდა.

ბალეტის დადგმაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნიკოლაი რერიხმა – დეკორაციებისა და კოსტუმების ავტორმა, რომელიც სტრავინსკისთან ერთად მუშაობდა.

ნიკოლაი რერიხი წარმართული ხანის რუსეთის სპეციალისტადაც იყო მიჩნეული. იგორ სტრავინსკიმ მასთან ერთად იმუშავა ბალეტის შინაარსზე. პრემიერის შემდეგ კომპოზიტორმა დადებითად შეაფასა რერიხის მიერ შექმნილი დეკორაცია და კოსტუმები.

The premiere of Vaslav Nijinsky's this ballet – on score by Igor Stravinsky – did not escape controversy on its Champs-Élysées premiere on May 29, 1913. Audience of Diaghilev's famous Seasons rejected *The Rite of Spring*. There were supporters for the piece, too, although the work still left its special mark in the ballet history. How can we explain it?

The Stravinsky music and the Nijinsky choreography were the reasons for that. Both have been recognized as cultural masterpieces of the XX century.

Nijinsky was not as skilled in choreography as in dance, although both of his well-known works – *Afternoon of a Faun* and *Spring* – proved subjects of scandal. Both are still on stage, implying both the Russian and international stagings. Why is Nijinsky engaging as choreographer?

I would not agree that Nijinsky was not skilled as choreographer. He was just ahead of his time and people. On the other hand it seems he just could not slow down his immense talent and energy. To me there are similarities between him, Vladimir Mayakovsky and Galaktion Tabidze. Nijinsky's art is studied by some of the very thorough researches, and his phenomenon is still not completely explained... Jean Cocteau brilliantly said of him that Nijinsky refused everything (implying the classical ballet technique) that brought him fame and set out to create new dance forms. It would be necessary to elaborate on this topic, and I would offer that we allocate space for this in one of your upcoming issues...

For Diaghilev *The Rite of Spring* became one of his favorite performances, but was it a production where music and choreography are as much in agreement as in Balanchine's *Apollo*, also based on Stravinsky's music?


Very interesting question. Stravinsky called Nijinsky's choreography "incomparable" in one of his 1913 letters, whereas elsewhere he harshly criticized the choreographer and said he had wasted the knowledge given to him by Diaghilev by acting completely unwittingly while creating the choreography. As we are speaking about two artist with genius, I can only offer my subjective view that the Stravinsky score and the Nijinsky choreography were both "bombshells", which proved too much. The choreography even put the masterpiece of music by Stravinsky into the shade somewhat, while in case of Balanchine and Stravinsky the former's "bombshell" is more harmony than a bomb. Balanchine himself was harmony. Also, we need to remember that he had received brilliant music education in St Petersburg and himself played well, while Nijinsky did not have music education but "felt" the music.

A significant share in the production belonged to Nicholas Roerich, the set and costume designer who worked parallel with Stravinsky.

Roerich was also known as an expert on pagan Russia. Stravinsky worked with him while creating argument for the ballet. The composer was positive on the set and costumes after the premiere, although Cocteau wrote that Roerich had "lightened" the work. The costumes might indeed have been notably theatrical, while the sets were too realistic, but, on the other hand, this made the ballet's harsh theme even more dramatic.

The Rite of Spring

For the last three years the Europe House in Tbilisi has been hosting a series of lectures and video presentations by ballet researcher, philosopher and journalist Khatuna Mzarelua. The *Single and Diverse Europe on the backdrop of the XX and XXI Centuries Ballet* is the title of the project supported by the French Institute and the Europe House. Enthusiasts and representatives of ballet and dance in general were able to see exclusive footage of a number of special ballet pieces staged for the leading European companies like the Paris National Opera, Lyon Opera, Geneva Grand Theatre, Monaco and other ballet troupes. Another evening of the series was dedicated to the 100th anniversary of *The Rite of Spring*, a masterpiece of the past century. We spoke to Khatuna Mzarelua about this crucially important ballet and its story:



LE SACRE DU PRINTEMPS, MILLICENT HODSON, CREATION 1987, PHOTO HERBERT MIGDOLL

ბი. თუმცა ჟან კოკტო წერს, რომ რერიხმა ბალეტი გაამსუბუქაო. შეიძლება, კოსტუმები მართლაც შესამჩნევად თეატრალური იყო, დეკორაცია კი – მეტისმეტად რეალისტური, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ყველაფერი კიდევ უფრო ამძაფრებდა ბალეტის ისე-დაც სასტიკ თემას.

„კურთხეული გაზაფხული“ უსიუჟეტო ბალეტადაა მიჩნეული, მაგრამ სტრავენსკიმ მას მოუნახა გარკვეული ამბავი. რას გადმოგვცემს მუსიკა და ბალეტი?

ბალეტის შექმნის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები და მეტიც, ლეგენდები არსებობს. მაგალითად, თითქოს სტრავენსკიმ უცნაური სიზმარი ნახა რუსული წარმართული ხანის სურათებით... ამ ბალეტის მუსიკაზე მუშაობა კომპოზიტორმა ჯერ კიდევ 1910 წელს შვეიცარიაში დაიწყო დიაგილევის დაკვეთით. მის სიუჟეტად მოიაზრებოდა წარმართული ხანის რუსეთის გარკვეული რიტუალები, რაც უკავშირდებოდა ბუნების ღმერთების თაყვანისცემასა და მათთვის მსხვერპლის შეწირვას. ბალეტი 2 ნაწილისგან შედგება. პირველი გახლავთ: თაყვანისცემა მიწისა, მეორე კი: მსხვერპლშეწირვა, სადაც ყმაწვილქალ „რჩეულს“ (როგორც მას უწოდებენ) ნაყოფიერი გაზაფხულის მომყვან ღმერთს მსხვერპლად სწირავენ... სტრავენსკიმ წარმართულ წარსულში ჩაიხედა და როგორც უძირო ჭიდან ისე „ამოიღო“ იქიდან თავისი მუსიკა... რომელიც კი არ ჟღერს, არამედ ქუხს.

1913 წლიდან დღემდე „კურთხეული გაზაფხულის“ 150-ზე მეტი ვერსია შეიქმნა. რომელ ვერსიებს გამოყოფდით და გაამახვილებდით ყურადღებას?

დიახ, ზოგან წერენ 150-ზე მეტ ვერსიაზე, სხვაგან 250-ს ახსენებენ... ზუსტად მგონი ჯერ არავის დაუთვლია... მაგრამ ეს ფაქტიც მეტყველებს ამ ბალეტის დიდ მნიშვნელობაზე.

სპეციალისტების მიერ შედეგებდად არის მიჩნეული აწ გარდაცვლილთა, ფრანგი ქორეოგრაფის მორის ბეჟარისა და გერმანელი ქორეოგრაფის პინა ბაუშის დადგმები, 1959 და 1975 წლებში. მე ასევე გამოვყოფდი ალბანური წარმოშობის ფრანგი ქორეოგრაფის, ანჟელენ პრელუოკაუსისეულს, ებრაელი ემანუელ გატის 2004 წლის დადგმას სალსას ილეთებით, ვიეტნამური წარმოშობის ფრანგი ქორეოგრაფის ტიერი ტიუ ნიანგის ვერსიას ავინიონის ფესტივალისთვის 2011 წელს და ბერძენი ანდონის ფონიადაკისას, 2013 წლის თებერვალში ჟენევის დიდი თეატრის საბალეტო დასისთვის. ვფიქრობ, შედეგად აღიარებენ ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ქორეოგრაფის, გერმანელი საშა ვალცისეულს. იმედი მაქვს, რომ ამ ბალეტის დადგმას ერთ დღეს ქართველი ქორეოგრაფებიც განახორციელებენ.

თანამედროვე დადგმები, უპირველეს ყოვლისა, მოძრაობისადმი ახლებური მიდგომით არის საინტერესო და გამორჩეული. მეორე მხრივ, საოცარია თუ როგორ „უდგებიან“ სხვადასხვა კულტურული ფესვების მქონე ხელოვანები ამ რთულ ბალეტს. განა, უცნაური არ არის, რომ ისრაელში დაბადებულ-გაზრდილი ებრაელი ქორეოგრაფი ემანუელ გატი სამხრეთ ამერიკული სალსას ილეთებით გამოხატავს (5 მოცეკვავისთვის) წარმართული ხანის რუსეთის ეპიზოდებს? აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ „კურთხეული გაზაფხულის“ დადგმა, სპეციალისტთა აზრით, ზოგჯერ გამოცდილ ქორეოგრაფებსაც უძნელდებათ. თუმცა, ვფიქრობ, თავად მცდელობაც კი სტრავენსკი-ნიჟინსკი-რერიხთან „შეჭიდებისა“ – უკვე დასაფასებელია.

მიუხედავად იმისა, რომ „კურთხეული გაზაფხულის“ ყოველი ახალი დადგმა თავისებურად მრავლისმეტყველია, არც ერთი მათგანი არ აღემატება ნიჟინსკისეულს. ეს უკანასკნელი – სრულყოფილია. რაც, ჩემი აზრით, იმას კი არ ნიშნავს, რომ ის – უნაკლოა; არამედ იმას, რომ ის – ზუსტია.



ნიკოლაი რერიხის კოსტიუმების უსკიზმაი „კურთხეული გაზაფხულისათვის“

COSTUME SKETCHES BY NICHOLAS ROERICH FOR THE RITE OF SPRING

The Rite of Spring is considered a ballet without plot, although Stravinsky found a certain story for it. What does the music and the ballet convey?

There are various thoughts, even legends, about the piece. There is a story saying Stravinsky had seen a strange dream with pictures from the era of pagan Russia... He began working on the score in 1910, in Switzerland, with commission by Diaghilev. The story was meant to incorporate the rites of the time related to worshipping of and sacrificing to natural powers. The ballet is comprised of two parts, with the first representing a worship of earth and the second relaying a picture where the “chosen” young girl is sacrificed for the god of fruitful spring. Stravinsky looked down into the pagan past and took from it – like from a bottomless well – his music, which thunders, instead of sounding.

There have been more than 150 versions of *The Rite of Spring* since 1913. Which versions would you single out?

That is right, there have been mentions of 150, or 250 versions. I do not believe the exact number has been counted yet. But this fact also shows the significance of the ballet.

Experts consider the 1959 and 1975 stagings by late choreographers Maurice Béjart and Pina Bausch as masterpieces. I would also note the production by Angelin Preljoçaj – French choreographer of Albanian descent, the 2004 work with Salsa elements by Emanuel Gat from Israel, the 2011 staging by Thierry Thieû Niang – French choreographer with Vietnamese roots – for the Avignon Festival, and the 2013 version by Andonis Foniadakis from Greece for Geneva Grand Theatre Ballet Company. I believe the version by Sasha Waltz, one of the most gifted choreographers of our time from Germany, will also be recognized as a masterpiece. And I hope choreographers from Georgia will also attempt to stage the ballet one day.

The contemporary stagings are first and foremost distinctive for their fresh attitude for movement. On the other hand, it is amazing to see how artists with varying cultural backgrounds treat this complex ballet. Is it not strange that Emanuel Gat – born and raised in Israel – expresses the pagan Russia episodes using South American Salsa elements (for five dancers)? Also we must remember that, as experts agree, even experienced choreographers find it difficult to stage *The Rite of Spring*. Although I believe even an attempt of taking up a Stravinsky-Nijinsky-Roerich piece needs to be recognized in itself.

Despite the fact that each new staging of *The Rite of Spring* is distinctively meaningful, none exceed the Nijinsky's. His one is perfect, which, in my opinion, means not that it has no shortcomings, rather than it is precise.



დასი

The Company

მარცელინა - გიორგი ჩხაიძე,
ნიკოზი - გიორგი შვენიერაძე,
მიშო - კახა ანდრიადე
GIORGI CHKHAIDZE AS MARCELINE,
GIORGI MSHVENIERADZE AS NIKEZ,
KAKHA ANDRIADZE AS MICHAUD


ახალი 162-ე სეზონიდან საბალეტო დასში, მოწვეული სოლისტის რანგში, მიღებულ იქნა ერევნის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი რუბენ მურადიანი.

დასში ასევე ჩაირიცხნენ: ფილიპ ფედულოვი, იუმიკო ფუკუდა და აიუკო ნაცუმი.



Starting with the 162nd season, Yerevan Opera and Ballet State Theatre soloist Ruben Muradyan has been invited to perform as soloist at the company.

The troupe was also joined by dancers Philip Fedulov, Yumiko Fukuda and Ayuko Natsumi.



ლანა მღებრიშვილი, „საიდუმლო ბაღი“
LANA MGBRISHVILI IN THE SECRET GARDEN

162-ე თეატრალური სეზონი 9 ოქტომბერს ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამით გაიხსნა.

„საიდუმლო ბაღში“ პირველი გამოსვლა ჰქონდათ მარიამ ელოშვილს, ლანა მღებრიშვილს, რუბენ მურადიანს, ფილიპ ფედულოვს. რუბენ მურადიანმა წამყვანი პარტია იური პოსოხოვის „საგალობელში“ იცეკვა.

ახალმა შემადგენლობამ (გიორგი ბერიძე, რიო კატო, ნუცა ჩეკურაშვილი, უილიამ პრატი) იცეკვა იორმა ელოს ერთმოქმედებიან ბალეტში „1st Flash“.



The 162nd season opened with a one act ballet program on October 9.

Mariam Eloshvili, Lana Mghebrishvili, Ruben Muradyan and Philip Fedulov had their maiden performances in *The Secret Garden*. Muradyan also danced the principal part in *Sagalobeli* by Yuri Possokhov.

A new cast of Giorgi Beridze, Ryo Kato, Nutsa Chekurashvili and William Pratt performed in 1st *Flash* by Jorma Elo.

ეკა სურმავა, რუბენ მურადიანი „საგალობელი“
EKA SURMAVA, RUBEN MURADYAN IN SAGALOBELI



მარიამ ელოშვილი, ფილიპ ფედულოვი,
„საიდუმლო ბაღი“
MARIAM ELOSHVILI, PHILIP FEDULOV IN
THE SECRET GARDEN

2 და 3 ნოემბერს ბალეტში „ამაო სიფრთხილე“ მიშოს როლი პირველი გამოსვლა ჰქონდა კახა ანდრიადეს.

Kakha Andriadze had his first appearance in *La fille mal gardée* as Michaud on November 2-3.

„მაკნატუნაში“ პირველი გამოსვლა ჰქონდათ დასის სოლისტებს: რუბენ მურადიანი (29 ნოემბერს), ნინო სამადაშვილს უწევდა პარტნიორობას. ეკა სურმავამ კი პირველად იცეკვა ფერია დრაჟუ (1 დეკემბერი). მას პარტნიორობას რიო კატო უწევდა. იუმიკო ფუკუდამ პირველად იცეკვა მარის პარტია.

Soloists of the company Ruben Muradyan – partnering Nino Samadashvili on November 29 – and Eka Surmava – dancing Sugar Plum Fairy and partnered by Ryo Kato on December 1 – had their first appearance in *The Nutcracker*. Yumiko Fukuda had the maiden performance as Marie.